პრეზიდენტ ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი



მარადიული ოჯახის სიყვარულის იმედი

ყველა ძღვენთა შორის, რომლებიც მამაზეციერმა უზრუნველყო თავისი შვილებისთვის, ყველაზე დიადი მარადიული სიცოცხლეა (იხ. მოძღვრება და აღთქმები 14:7). ეს ძღვენია - მარადიული ცხოვრება ოჯახებთან ერთად მამაღმერთისა და მისი საყვარელი ძის გარემოცვაში. მხოლოდ ღვთის უზენაეს სასუფეველში - ცელესტიალურში, გაგრძელდება ოჯახური მოსიყვარულე კავშირი.

ჩვენ ყველანი ვიმედოვნებთ, რომ დავტკბებით მოსიყვარულე ოჯახებში ცხოვრების სიხარულით. ზოგიერთი ჩვენგანისთვის ეს უცნობი გრძნობაა ანუ ისეთი გრძნობა, რომელიც ვიცით, რომ შასაძლებელია, მაგრამ ჯერ ვერ განვიცადეთ. შესაძლოა ეს სხვა ადამინაბების ცხოვრებაში გვინახავს. სხვებისთვის, ოჯახური სიყვარული უფრო რეალური და ძვირფასი ხდება მას შემდეგ, რაც სიკვდილი წაართმევს შვილს, დედას, მამას, ძმას, დას ან საყვარელ და მოსიყვარულე პაპას ან ბებიას.

ჩვენ ყველამ ვიგრძენით იმის იმედი, რომ დადგება დღე, როცა ჩვენ კვლავ ვიგრძნობთ იმ ოჯახის წევრის სითბოს, რომელიც ასე გვიყვარდა და ახლა ვერ ვიკრავთ გულში.

მამაზეციერი იცნობს ჩვენს გულებს. მისი მიზანია - მოგვცეს ბედნიერება (იხ. 2 ნეფი 2:25). მან ასევე გვიბოძა თავისი ძე, რათა შესაძლებელი გაეხადა ჩვენთვის ოჯახური კავშირის სიხარული, რომელიც მარადისობაში გრძელდება. ჩვენ ავღსდგებით, რადგან მხსნელმა სიკვდილის კვანძი გახსნა. რადგან უფალმა გამოსყიდვის მსხერპლი შეწირა, ჩვენ შეგვიძლია, რწმენისა და მონანიების ხარჯზე, გავხდეთ ცელესტიალური სამყაროს ღირსნი, სადაც ოჯახები მარადის შეკრულნი იქნებიან სიყვარულით.

მხსნელმა გამოუგზავნა ჯოზეფ სმითს წინასწარმეტყველი ელია, მღვდლობის გასაღებების აღსადგენად (იხ. მოძღვრება და აღთქმები 110). ამ გასაღებებთან ერთად მოვიდა ჩაბეჭდვის ძალა, რამაც ღვთის შვილებს ყველაზე დიდი ძღვენი შესთავაზა - მარადიული სიცოცხლე ოჯახთან ერთად.

ეს არის საჩუქარი, რომელიც შეიძლება მოითხოვოს ღვთის ყოველმა შვილმა, რომელიც მოდის ამ ქვეყნად. მისი შვილების ერთმა მესამედმა სულიერ სამყაროში უარი თქვა ამ საჩუქარზე. რწმენის უკმარისობის და ჯანყის გამო, ისინი ირჩევენ, საერთოდ არ იგემონ მამაზეციერის მარადიული ოჯახების ძღვენის სიხარული.

ყველამ, ვინც გავიარეთ გადამწყვეტი გამოცდა წინამიწიერ სამყაროში და გავხდით მიწიერი სხეულის ძღვენის მიღების ღირსნი, მაინც უნდა გავაკეთოთ მარადიული ცხოვრების ღძვენის არჩევანი. თუ მივიღებთ აღდგენილი სახარების პოვნის დალოცვას, ჩვენ შევძლებთ გავაკეთოთ ღმერთთან აღთქმის დადებისა და დაცვის არჩევანი,

რაც გაგვხდის მარადიული ცხოვრების ღირსს. როცა ბოლომდე გავძლებთ ამ ერთგულებაში, სულიწმინდა დაგვიდასტურებს იმის იმედსა და დარწმუნებულობას, რომ ჩვენ მარადიული ცხოვრების გზაზე ვიმყოფებით, სადაც ცელესტიალურ სამყაროში ვიცხოვრებთ ოჯახებთან ერთად.

ზოგიერთებს, ეს მარადიული სიხარული შეიძლება სუსტ ან მკრთალ იმედად მოეჩვენოთ. მშობლებს, ბავშვებს, ძმებსა და დებს შეუძლიათ გააკეთონ ისეთი არჩევანი, რომელიც თითქოს და აღარ ხდის მათ მარადიული ცხოვრების ღირსად. შეიძლება იმასაც ფიქრობდეთ, ხართ თუ არა ღირსნი იესო ქრისტეს გამოსყიდვისა.

ღვთის წინასწარმეტყველმა ერთხელ მომცა რჩევა, რომელიც სიმშვიდეს მგვრის. მე ვწუხდი იმის გამო, რომ სხვების არჩევანი შეუძლებელს ხდიდა ჩვენი ოჯახის ერთად ყოფნას. მან თქვა: "ეს არ არის პრობლემა, რომლის გამოც უნდა წუხდე. უბრალოდ იცხოვრე ცელესტიალური სამყაროს ღირსეულად და ოჯახური გეგმები იმაზე კარგად აეწყობა, ვიდრე წარმოგიდგენიათ".

მათ, ვისაც პირადი გამოცდილება ან ქორწინება და შვილები ან მათი არ ყოფნა იმედებს უჩრდილავს, ვთავაზობ ჩემს დამოწმებას: მამაზეციერი გიცნობთ და უყვარხართ, როგორც თავისი სულიერი შვილები. როცა თქვენ მასთან და მის საყვარელ ძესთან წინა მიწიერ ცხოვრებაში ცხოვრობდით, მათ გულში მარადიული ცხოვრების იმედი ჩაგისახეს. იესო ქრისტეს გამოსყიდვის ძალასთან ერთად და სულიწმინდის გაძღოლით, თქვენ შეგიძლიათ ახლა და მომავალ ცხოვრებაში იგრძნოთ ოჯახური სიყვარული, რომელიც მამაზეციერსა და მის საყვარელ ძეს სურთ, რომ მიიღოთ.

მე ვმოწმობ, რომ როცა უბრალოდ ცხოვრობთ ღირსად ცელესტიალური სამყაროსი, დაპირება, რომლის თანახმადაც "ოჯახური გეგმები იმაზე მშვენივრად აეწყობა, ვიდრე წარმოგიდგენიათ", აგისრულდებათ.

ამ გზავნილის სწავლება

დაიწყეთ იმით, რომ მოუყვეთ მათ, ვისაც ასწავლით, იმ მომენტის შესახებ, როცა მარადიული ოჯახების იმედის მადლიერი იყავით. მოიწვიეთ ისინი, დაფიქრდნენ იმ მომენტების შესახებ, როცა მათ ბედნიერება იგრძნეს მარადიული ოჯახების გამო. ჰკითხეთ, ხომ არ გაგიზიარებდნენ ამის შესახებ? შემდეგ შეგიძლიათ მოიწვიოთ ისინი, იფიქრონ, როგორ შეიძლება გამოასწორონ ცხოვრება და იცხოვრონ, რათა უფრო ღირსნი იყონ ცელესტიალური სამყაროსი, რათა აღსრულდეს წინასწარმეტყველური დაპირება "ოჯახური გეგმების შესახებ, რომელნიც იმაზე კარგად აეწყობა, ვიდრე წარმოგიდგენიათ".

ახალგაზრდები

მარადიული ბედნიერების გაზიარება

სახარების ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილია ცოდნა ხსნის გეგმის შესახებ. ჩვენ გვაქვს შესანიშნავი შესაძლებლობა - სამარადისოდ ვიყოთ ჩვენს ოჯახებთან ერთად. ეს ცოდნა გვეხმარება, ვიქონიოთ იმედი მაშინ, როცა ამაქვეყნიური გვძლევს. პრეზიდენტი აირინგი გვასწავლის: "მამაზეციერი იცნობს ჩვენს გულებს". მისი მიზანია - მოგვცეს ბედნიერება (იხ. 2 ნეფი 2:25). მან ასევე გვიბოძა თავისი ძე, რათა შესაძლებელი გაეხადა ჩვენთვის ოჯახური კავშირის სიხარულის განცდა, რომელიც მარადისობაში გრძელდება. . . .ეს არის საჩუქარი, რომელიც შეიძლება მოითხოვოს ღვთის ყოველმა შვილმა, რომელიც მოდის ამ ქვეყნად.

ეს დალოცვა, ოღონდაც ჩვენი დახმარებით, ეხება მათ, ვინც ახლა ცხოვრობს და მათ, რომლებიც გარდაიცვალნენ. ჩვენი წინაპრები სულების სამყაროში არიან და ელიან, რომ ჩვენ მათ სახელებს წარვადგენთ სატაძრო წეს-ჩვეულებების ჩასატარებლად. თუმცა ზოგჯერ რთულია მათთვის სამუშაოს შესრულება. ზოგჯერ ან ძალიან დაკავებულები ვართ, ან ტაძრიდან ძალიან შორს ვცხოვრობთ და ხშირად ვერ დავდივართ.

საბედნიეროდ, არსებობს ჩვენი წინაპრებისთვის დახმარების გაწევის სხვა ხერხები, როგორიცაა: ოჯახური ისტორია, ინდექსირება, ბავშვებთან დარჩენა მაშინ, როცა მათი მშობლები ტაძარში იმყოფებიან. დახმარების გაწევით ჩვენ ვეხმარებით უფალს და მოგვაქვს მარადიული ოჯახის იმედი მათთვის, ვინც ფარდის მიღმა იმყოფება.

ბავშვები

ოჯახები მარადიულია

იესო ქრისტეს გამოსყიდვისა და მღვდლობის გასაღებების აღდგენის გამო ჩვენ შეგვიძლია მარადიულად ვიცხოვროთ ოჯახებთან ერთად! რა მოგწონთ თქვენს ოჯახთან მიმართებაში? მიყევით ამ მითითებებს, რათა გააკეთოთ ქაღალდის ჯაჭვი თქვენი ოჯახის სახელზე.

1. დაკეცეთ ქაღალდის ფურცელი შუაში ისე, რომ გამოგივიდეთ ერთი გრძელი ზოლი.
2. დახატეთ ადამიანი ხელებით ისე, რომ თითქოს იგი დაკეცილ ბოლოებს წვდება.
3. ამოჭერით ნახატი. არ გაჭრათ ის ადგილი, სადაც ხელები დაკეცილ ბოლოებს ეხება.
4. გაშალეთ იგი. დაწერეთ ან დახატეთ რაიმე, რაც ასე მოგწონთ ოჯახის ყოველ წევრში.
5. დააწებეთ ერთად სხვასდასხვა ქაღალდის ჯაჭვები, თუკი დიდი ოჯახი გაქვთ.

© 2016 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *First Presidency Message, August 2016*. Georgian. 12868 131

ოჯახების ერთობლივი აღზრდა

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, თუ რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ ზრდის "მოწოდება მსოფლიოს" წვდომა თქვენს რწმენას ღმერთში და დალოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

"ქმარს და ცოლს თანაბარი ვალდებულებები აქვთ ერთმანეთისა და შვილების სიყვარულისა და ზრუნვის მიმართ".[1] "ოჯახი ღმერთის სიყვარულის და მსახურების ლაბორატორიაა", - თქვა თორმეტ მოციქულთა ქვორუმის პრეზიდენტმა რასელ მ. ნელსონმა.

"მამაზეციერს სურს, რომ ცოლი და ქმარი ერთმანეთის ერთგულნი იყვნენ და ისე აფასებდნენ და ექცეოდნენ თავიანთ შვილებს, როგორც უფლის მემკვიდრეობას".

მორმონის წიგნში, იაკობი ამბობს, რომ სიყვარული, რომელიც ქმარს ცოლის მიმართ გააჩნია და ცოლს- ქმრის მიმართ, სიყვარული, რომელიც ორივეს შვილების მიმართ გააჩნიათ, იყო მიზეზი იმისა, რომ გარკვეულ დროს ლამანიელნი ნეფიელებზე უფრო მართალნი იყვნენ (იხ. იაკობი 3:7).

სიყვარულისა და ჰარმონიის ოჯახში მოწვევის ერთ-ერთი საუკეთესო გზა არის ოჯახის წევრების მიმართ კეთილი საუბარი. კეთილი საუბარი სულიწმინდას იწვევს ჩვენთან. და ლინდა კ. ბერტონმა, მოწყალების საზოგადოების გენერალურმა პრეზიდენტმა, გვთხოვა განვიხილოთ შემდეგი: "რამდენად ხშირად ვეუბნებით განგებ ერთმანეთს კეთილ სიტყვას?"

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

რომაელთა 12:10; მოსია 4:15; მოძღვრება და აღთქმები 25:5

ისტორიები ცხოვრებიდან

უხუცესმა ტოდ კრისტოფერსონმა თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან გაგვიზიარა ბავშვობის გამოცდილება, რომელმაც მას მოსიყვარულე ოჯახის მნიშვნელობა უჩვენა. როცა იგი და მისი ძმები პატარები იყვნენ, დედამ სიმსივნის რთული ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც მისთვის ძალიან მტკივნეული იყო მარჯვენა ხელის ხმარება. ოჯახში, სადაც ამდენი ბიჭი იყო, უამრავი საუთოვებელი იყო. დედა დაუთოვების დროს ხშირად დებდა უთოს და საძინებელში გადიოდა, სადაც ტიროდა, სანამ ტკივილი ცოტა არ შეუმსუბუქდებოდა.

როცა უხუცესი კრისტოფერსონის მამა მიხვდა, რა ხდებოდა, იგი ჩუმად დაახლოებით ერთი წლის მანძილზე ლანჩის გარეშე ცხოვრობდა, რათა დაზოგილი თანხით მანქანა ეყიდა, რომელიც დედას დაუთოვებაში დაეხმარებოდა. მეუღლის მიმართ სიყვარულით მან შვილებს ზრუნვის მაგალითი უჩვენა. ამ ნაზ ურთიერთობაზე უხუცესმა კრისტოფერსონმა ასე თქვა: "მე არ ვიცოდი, რა მსხვერპლს გაიღებდა მაშინ მამა დედის სიყვარულის გამო, მაგრამ ახლა, როცა ვიცი, ვეუბნები ჩემ თავს: 'აი კაცი".[4]

შენიშვნები

1. „ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს," *ლიაჰონა,* 2010 წ. ნოემბერი, გვ. 129.
2. რასელ მ. ნელსონი, "Salvation and Exaltation," *ლიაჰონა,* მაისი 2008, 8.
3. ლინდა კ. ბერტონი,"We'll Ascend Together," *ლიაჰონა,* მაისი 2015, 31.
4. დ. თოდ კრისტოფერსონი "Let Us Be Men", *ლიაჰონა,* ნოემბერი 2006, 46.

განიხილეთ შემდეგი

როგორ იწვევს ჩვენს სახლებში სულიწმინდას ერთმანეთის მიმართ სიყვარული და ზრუნვა?

© 2016 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *First Presidency Message, August 2016.* Georgian. 12868 131